შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილი

ჯეჯილი
კერძო სკოლა

საბაზო საფეხურის კურიკულუმი

2025-2026 სასწავლო წელი

შინაარსი

1. შესავალი
2. 2024-2025 სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი
3. საგანმანათლებლო სერვისების ჩამონათვალი:
4. სადამრიგებლო საათის პროგრამა
5. ესგ-ით გათვალისწინებული საგნების კვირეული საათობრივი დატვირთვა საბაზო საფეხურისთვის
6. ფაკულტატური კვირეული საათობრივი დატვირთვა საბაზო საფეხურისთვის
7. სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით
8. შინაარსი (კურიკულუმის ჩარჩო)
9. სასწავლო რესურსები
10. დამატებით რესურსები
11. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა -საბაზო საფეხურზე
12. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა
13. ინკლუზიური განათლება საბაზო საფეხურზე
14. არაფორმალური განათლება
15. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა
16. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

შესავალი

პროგრამის სახელწოდება:	საბაზო საფეხურის კურიკულუმი
პროგრამის განხორციელების ენა:	ქართულ ენა
კლასები	VI I –X კლასებს.
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, აბაშიძის 15

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს

საბაზო საფეხურზე სკოლა უზრუნველყოს

- ✓ საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას.
- ✓ მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა და მხარდაჭერას.
- ✓ მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას.
- ✓ აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობას და საფუძვლების შექმნას განათლების მომდევნო საფეხურზე (აკადემიური, პროფესიული) სწავლის გაგრძელებისთვის ან პროფესიული საქმიანობისთვის;

2025-2026 სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი

სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები ან ობიექტური მიზეზის გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლება.

სასწავლო წლის დასაწყისი	2025 წლის 15 სექტემბერს
სასწავლო წლის დასასრული	2026 წლის 12 ივნისი VII-X კლასები
საშემოდგომო არდადეგები	2025 წლის 19 ნოემბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით
ზამთრის არდადეგები	2025 წლის 30 დეკემბრიდან - 2026 წლის 11 იანვარის ჩათვლით
საგაზაფხულო არდადეგები	2026 წლის 4 მარტიდან -8 მარტის ჩათვლით;

სააღდგომო დასვენება	2026 წლის 9 აპრილიდან -13 აპრილის ჩათვლით

2025-2026 სასწავლო წლის კალენდარი

კალენდარი 2025-2026.docx

გაკვეთილების განრიგი

N	VII-X კლასი
1	9.00-9.45
2	9.50-10.35
3	10.40-11.25
4	11.30-12.15
5	12.30-13.15
6	13.30-14.15
7	14.20-15.05
8	15.10-15.55

საგანმანათლებლო სერვისების ჩამონათვალი:

- **სავალდებულო საგანი (საგნობრივი ჯგუფების მიხედვით)**

N	საგნობრივი ჯგუფი	საგანი	კლასები
1	სახელმწიფო ენა	ქართული ენა და ლიტერატურა	VII-X
2	მათემატიკა	მათემატიკა	VII-X
3.	უცხოური ენები	პირველი უცხოური ენა	VII-X
		მეორე უცხოური ენა (რუსული)	VII-X

		მესამე უცხოენა (გერმანული)	VII-X
4.	საზოგადოებრივი მეცნიერებები	ისტორია	VII-X
		გეოგრაფია	VII-X
		მოქალაქეობა/სამოქალაქო განათლება	VII-X
5.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბიოლოგია	VII-X
		ქიმია	VIII-X
		ფიზიკა	VII-X
6.	ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	VII-X
		მუსიკა	VII-X
7.	სპორტი	ფიზიკური აღზრდადა სპორტი	VII-X

სადამრიგებლო საათის პროგრამა

საბაზო
საფეხურიის სადა(

თითოეული საგნისთვის კურიკულუმის დაგეგმვა

1.1კვირეული საათობრივი დატვირთვა -საბაზო საფეხურზე

	კლასები და სემესტრები	**VII კლასი**		**VIII კლასი**		**IX კლასი**		**X კლასი**	
	საგანი	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	სახელმწიფო ენა								
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	5	5	5	5	5	5	5
	მათემატიკა								
2	მათემატიკა	5	5	5	5	5	5	5	5
	უცხოური ენები								
3	პირველი უცხოური ენა	4	4	4	4	4	4	4	4

4	მეორე უცხოური ენა	2	2	2	2	2	2	3	3
	საზოგადოებრივი მეცნიერებები								
5	ისტორია	2	2	2	2	3	3	2	2
6	საქართველოს ისტორია							2	2
7	გეოგრაფია	2	2	2	2	2	2	2	2
8	მოქალაქეობა	2	2	1	1	2	2	1	1
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები								
9	ბიოლოგია	2	2	2	2	2	2	2	2
10	ფიზიკა	2	2	2	2	2	2	2	2
11	ქიმია			2	2	2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა								
12	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	1	1	1	1	1	1		
13	მუსიკა	1	1	1	1	1	1		
	ტექნოლოგიები								
14	კომპიუტერული ტექნოლოგიები (ისტ)	1	1	1	1	1	1		
	ფიზიკური აღზრდა და სპორტი								
15	ფიზიკური აღზრდა	2	2	1	1	1	1	1	1
	არჩევითი საგნები								
16	კომპიუტერული მეცნიერება							1	1
17	მულტიმედია და დიზაინი								
18	კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები								
	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	**31**	**31**	**31**	**31**	**33**	**33**	**32**	**32**

	პროექტი სამოქალაქო განათლებაში							**1**	**1**
	პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში / მუსიკაში							**1**	**1**

ფაკულტატური კვირეული საათობრივი დატვირთვა საბაზო საფეხურზე

	კლასები და სემესტრები	**VII კლასი**		**VIII კლასი**		**IX კლასი**	
	საგანი	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**	**I ს**	**II ს**
	უცხოური ენები						
1	გერმანული ენა/ფრანგული ენა/იტალიური ენა	2	2	2	2	2	2
2	რუსული ენა	2	2	2	2		

სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით



შინაარსი (კურიკულუმის ჩარჩო)

საბაზო საფეხურის კურიკულუმის შინაარსი მოცემულია საბაზო საფეხურზე სავალდებულო საგნების მიხედვით. სავალდებული საგნის ფარგლებში განსაზღვრული გრაძელვადიანი მიზნები მუშავდება თემატური ერთეულის ფარგლებში საკითხეზე დაყრდნობით. შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება ისეთი დავალების სახით, რომელზეც მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნაზეა აგებული.

სასწავლო რესურსები - საბაზო საფეხურის კურიკულუმების განხორციელებისთვის განსაზღვრულია სასწავლო რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამატებითი რესურსები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით (MES 3 23 0000957822 02/08/2023 და MES 2 23 0000903712 19/07/2023) სკოლაში ინგლისური ენა საბაზო საფეხურზე და მათემატიკა VII კლასში ისწავლება არაგრიფირებული სახელმძღვანელოებთ.

გრიფირებული სახელმძღვანელოები

გრიფირებული
სახელმძღვანელოე

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა- საბაზო საფეხურზე

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა. შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. შეფასების პროცესში მოსწავლე განიხილება ცნობისმოყვარე, საკუთარი ინტერესების, ხასიათისა და გამოცდილებების მქონე ინდივიდად, რომელსაც უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი არეალი მოქმედებისა და უკუკავშირისთვის.

მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;

ბ) მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა;

გ) მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ

საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება:

ა) აჩვენებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს;

ბ) ქმნის მხარდაჭერის მექანიზმს მოსწავლის პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

არადიფერენვირებული შეფასება ,,ჩათვლა“ გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში. დამატებით სავალდებულო საგანში “კომპიუტერული ტექნოლოგიები” მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი შეფასებით. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. თითოეული საგანში თემის ფარგლებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.).
მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს სკოლის მიერ განსაზღვრული ყველა შემაჯამებელი დავალება;
თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა აძლევს საშუალებას, მისი სკოლაში გამოცხადებიდან **10 სასწავლო დღის ვადაში**, შეასრულოს გაცდენილი შემაჯამებელი დავალება მასსა და მასწავლებელს შორის შეთანხმებულ დროს იმავე ფორმით (მაგრამ განსხვავებული შინაარსით), როგორი ფორმითაც შეასრულა მთლიანმა კლასმა;
შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა სემესტრების და კლასების მიხედვით განისაზღვრება საგნობრივი კურუკულუმებით

საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.

საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ მოსწავლე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - საბაზო განათლების ატესტატს.

დიაგნოსტიკური წერები
2025–2026 სასწავლო წელს კლასებში წელიწადში ორჯერ დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერების ჩატარება.

 პირველი დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, ჩაუტარდება დამატებითი

მეცადინეობები/რემედიაცის პროგრამა, რის შემდეგაც მოსწავლემ განმეორებით უნდა წეროს განმეორებითი დიაგნოსტიკური წერა.

წლიური გამოცდები საბაზო საფეხურზე

წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა ჩატარდება VII, VIII, IX, X კლასებში შემდეგ საგნებში:

ქართულ ენასა და ლიტერატურაში;

მათემატიკაში;

ინგლისურ ენაში.

შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა

სკოლა უზრუნველყოფს სესასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანად აღრიცხვას დ ა შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინკლუზიური განათლება საბაზო საფეხურზე.

სსსმ მოსწავლეებისთვის-სკოლა საჭიროების მიხედვით სსსმ მოსწავლისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო ეგემა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისად.

ისგ ფორმა ნიმუში

2025-2026 სასწავლო წელს საბაზო საფეხურზე არ გვყავს სსსმ მოსწავლე

არაფორმალური განათლება

არაფორმალური განათლება ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შემენას განაპირობებს. მოსწავლისთვის, ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, რომელიც ხელს უწყობს მას წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში. სკოლას მიაჩნია, რომ არაფორმალური განათლება მოსწავლეში ხელს უწყობს ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ასევე ხელს უწყობს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სოციალური და თანამშრომლობითი, სისტემური აზროვნების განვითარებას.

- **პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა**

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მიზანია:

- მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
- მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით.

პროფესიის არჩევა - ნიშნავს არა მხოლოდ სამუშაოს არჩევას, არამედ იმასაც, თუ საზოგადოების რა ჯგუფთან (ეთიკური ნორმები, წესები, პრინციპები, ფასეულობები და ცხოვრების წესი) მოახდენ იდენტიფიკაციას.

პროფესიის არჩევის პროცესი მოსწავლისათვის უნფრო ნათელი და თანმიმდევრული გახდება თუკი შემდეგი კითხვების მიხედვით იმსჯელებს : რა უნდა? რა შეუძლია? საჭიროა?

პროფესიის განსაზღვრის პროცესი მრავალ ასპექტს მოიცავს, უპირველესად კი მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს:

- ვინ უნდა გამოვიდეს;
- რომელ სოციალურ ჯგუფს უნდა რომ მიაკუთვნოს თავი;
- ცხოვრების როგორი სტილი სურს;
- რა მიზნებს ისახავს მომავლისათვის.

პროფესიული მოღვაწეობა პიროვნების თვითრეალიზაციისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ძირითადი საშუალებაა. მაგრამ თვითრეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანს აინტერესებს არჩეული პროფესია, გააჩნია მის შესასრულებლად საჭირო უნარი და არსებული სამუშაოს შესრულებით იღებს კმაყოფილებას.

მოსწავლეთათვის კარიერის დაგეგმვასა და პროფესიულ ორიენტაციაში დახმარება გულისხმობს, როგორც ინდივიდუალურ დონეზე მოსწავლისთვის კონსულტაციის გაწევას, ისე ჯგუფურ სამუშაოებს, რომლებშიც თანაბრად იქნებიან ჩართულნი: ფსიქოლოგები, დამრიგებლები, დამსაქმებლები და სხვ.

კარიერის დაგეგმვაში კონსულტაციის გაწევა გულისხმობს:

1.შეისწავლოს მოსწავლეების შესაძლებლობები. სკოლამ უნდა გამოიკვლიოს მოსწავლეების ინდივიდუალური განვითარების დონე, დაეხმაროს მათ საკუთარი უნარების განსაზღვრაში და მიაწოდოს ინფორმაცია შესაძლებლობების, საჭიროებების, ღირებულებების, უნარებისა და ცოდნის შესახებ. სკოლის დანიშნულებაა მოსწავლეების ემოციური მხარდაჭერა კარიერული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში, კარიერული გეგმებისა და მიზნების დასახვაში კარიერული კონსულტაციის გაწევა, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება;

2.დაეხმაროს მოსწავლეებს პროფესიის არჩევის პროცესში.
3.ხელი შეუწყოს მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარებას.
4.ხელი შეუწყოს სკოლისა და პროფესიული კოლეჯების, უნივერსიტეტების თანამშრომლობას. უნდა გაუმჯობესდეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში განათლების საფეხურებს შორის კოორდინირებული მუშაობა.
5.უზრუნველყოს კარიერული დახმარებისა და კონსულტაციის გაწევა სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთათვის.
პროფესიის არჩევა ყველაზე აქტუალურია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, ამიტომაც ამ ეტაპზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ოთხ კომპონენტს:

1. თვითშემეცნება;
2. შრომის ბაზრის კვლევა;
3. ინფორმაცია პროფესიაზე;
4. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროცესების შესახებ.

სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას ინაწილებენ შესაბამისი კლასის დამრიგებლები, რომელთა სადამრიგებლო პროგრამებშიც გაწერილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ფარგლებში კონსულტირება.
პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში
დამრიგებლების მიერ მოხდება შემდეგი საკითხების განხილვა:

- მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიის არჩევის მნიშნელობაზე;
- პროფესიათა მახასიათებლებისა და კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელთათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გააზრება.
- საქართველოში არსებული პროფესიული მიმართულებების გაცნობა.
- მოსწავლეებისგან პროფორიენტაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთა

პიროვნებათაშორისი განსხვავებების, მათი შესაძლებლობების, ინტერესების გაცნობიერება და კონკრეტული პროფესიების შერჩევის დროს.

- მოსწავლეთა ინფორმირება პიროვნული თვისებებისა და სამუშაო გარემოს მიხედვით ადამიანთა ტიპებად დაყოფისა და პროფესიების კლასიფიცირების შესახებ.
- პროფესიის არჩევისას დაშვებული შეცდომებისა და სტერეოტიპების არსებობის გაცნობიერება.
- მომავლის დაგეგმვის მნიშვნელოვნების გააზრება.
- მიზნის არსისა და მნიშვნელობის, მიზნის მიღწევის ზოგადი პრინციპების გაცნობა.
- გეგმისა და დაგეგმვის მნიშვნელობის გაცნობა.

სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან (თავისუფალი უნივერსიტეტი, ალტერბრიჯი, ვებსტერი, კავკასიის უნივერსიტეტი და ა.შ) რომლის ფარგლებშიც XI-XII კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ საუნივერსიტეტო პროგრამებს. უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ზოგადი ასპექტები მოიცავს:

- ✓ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით
- ✓ მოსწავლეთათვის საუნივერსიტეტო პროგრამების გაცნობას;
- ✓ ღია კარის დღეების ორგანიზებას;

ერთობლივი შემეცნებითი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.

საგნობრივი კურიკულუმები-საბაზო საფეხურზე

	საგანი/კლასი	VII	VIII	IX	X
1	ქართული ენა და ლიტერატურა	7 კლ კურიკულუმი ქართ	8 კლ ქართული ენა კურიკულუმი.	9 კლ ქართული ენა და ლიტ კურიკ	10 კლ ქართული ენა კურიკულუმი
2	მათემატიკა	7 კლასი მათემატიკა კურიკ	8 კლ MYP-3 მათემატიკა კური	9-კლასი-მათემატ კიკა-კურიკულუმი.	10 კლ მათემატიკა კურიკულუმი.doc
3	პირველი უცხოური ენა	7-კლასი-ინგლის ური-კურიკულუმ	8 - კლასი - ინგლისური - კურ	9 - კლასი - ინგლისური - კურ	10-კლასი-ინგლის ური კურიკულუმ
4	მეორე უცხოური ენა	7 classe ფრანგული ენა კუ 7 კლ რუსული ენ კურიკულუმი.do 7 კლ იტალიური ენის კურიკულუმ მე-7 კლასი-გერმანულ	8-classe-ფრანგულ ენა-კურიკულუ 8 კლ რუსული ენ ფურიკულუმი.doc 8 კლ იტალიური ენის კურიკულუმ მე 8 ვლასი-გერმანულ	9 classe ფრანგული კური 9 კლ რუსული ენ კურიკულუმი.doc 9 კლ იტალიური ენის კურიკულუმ მე-9-კლასი-გერმ ნული-ენა-კურიკ	10 classe ფრანგული ენა კუ 10 კლ რუსული ენა კურიკულუმი. 10 კლ იტალიური ენა კურიკულუმი. მე-10კლასი-გერმ ნული-ენა-კურიკ
5	ისტორია	7 კლ ისტორია კურიკულუმი-202	8 კლ ისტორია ფურიკულუმი.doc	9 კლ ისტორია კურიკულუმი.doc	10 კლ ისტორია კურიკულუმი.doc
6	საქართველოს ისტორია				10 კლ საქართველოს ისტ

7	გეოგრაფია	7 კურიკულუმი გეოგრაფია.docx	8 კურიკულუმი გეოგრაფია.docx	9 კურიკულუმი გეოგრაფია.docx	10 კურიკულუმი გეოგრაფია (1).docx
8	მოქალაქეობა	7 კლ-მოქალაქეობა კურ	8 კლ მოქალაქეობა კურ	9 კლ მოქალაქეობა კურ	10 კლ სამოქალაქო განათ
9	ბიოლოგია	ბიოლოგია-7.docx	ბიოლოგია-8.docx	ბიოლოგია-9.docx	ბიოლოგია-10.docx
10	ფიზიკა	ფიზიკა-7.docx	ფიზიკა-8.docx	ფიზიკა-9.docx	ფიზიკა-10.docx
11	ქიმია		ქიმია-8.docx	ქიმია-9.docx	ქიმია-10.docx
12	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	7 კლ ხელოვნება კურიკულუმი.d	8 კლ ხელოვნება ურიკულუმი.doc	9 კლ ხელოვნება კურიკულუმი.doc	
13	მუსიკა	7 კლ კურიკულუმი მუ	8-კლ ურიკულუმი მუ	9-კლ კურიკულუმი მუ	
14	კომპიუტერული ტექნოლოგიები	7კლ-კომპ.ტექნ.d cx	8კლ-კომპ.ტექნ.d cx	9კლ-კომპ.ტექნ.d cx	
15	ფიზიკური აღზრდა	7 ფიზიკური აღზრდა კურიკულ	8 ფიზიკური აღზრდა კურიკულ	9 ფიზიკური აღზრდა კურიკულ	10 ფიზიკური აღზრდა კურიკულ
16	კომპიუტერული მეცნიერება				10 კლ კომპ.მეცნიერება.d

17	პროექტი სამოქალაქო განათლებაში				10 კლ სამოქალაქო განათ
18	პროექტი მუსიკაში				10-11 კლ კურიკულუმი პრო